



**ბუღალტრული აღრიცხვის,  
ანგარიშგებისა და აუდიტის  
ზედამხედველობის სამსახური**

25 ნოემბერი 2024



N 732

ქ. თბილისი

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**

**აუდიტორული ფირმის - შპს „ეიჯი ინტერნეიშენალ კონსალტინგის“ ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის შედეგების და აუდიტორული ფირმისთვის და გარიგების პარტნიორისთვის - თამილა ჩაგელიშვილისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე**

შპს „ეიჯი ინტერნეიშენალ კონსალტინგი“ (ს/ნ 205228207, იურიდიული მის.: ქ. თბილისი, პეტრე ქავთარაძის I შესახვევი, N10, საოფისე ფართი N8) (შემდგომში - ფირმა) აუდიტორების/აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებულია სარეგისტრაციო ნომრით SARAS-F-344253.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომში - სამსახური) მიერ მიღებულ იქნა ფირმის ხარისხის მართვის სისტემის სრული მონიტორინგის დაწყების თაობაზე 2024 წლის 02 სექტემბრის N583 ბრძანება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) და „ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის შესახებ“ სამსახურის უფროსის 2017 წლის 12 ივლისის N6-9 ბრძანებით დამტკიცებული წესის (შემდგომში - მონიტორინგის წესი) მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურის მონიტორინგის სამუშაო ჯგუფის (შემდგომში - მონიტორინგის სამუშაო ჯგუფი) მიერ დაიწყო ფირმის სრული ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგი (შემდგომში - მონიტორინგი).

მონიტორინგის წესის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სრული მონიტორინგი მოიცავს დანერგილი ხარისხის მართვის სისტემის ყველა ელემენტს, შერჩეულ გარიგებებს და საქმიანობის წარმართვის სხვა სფეროებს, რამაც შეიძლება ხარისხის უზრუნველყოფაზე გავლენა მოახდინოს. ამავე წესის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სამსახურის მიერ ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგი ხორციელდება: ა) ფირმის დონეზე – ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტებთან (ISQM) (შემდგომში - ხმსს 1 და ხმსს 2), რეგისტრაციის წესებთან შესაბამისობის კუთხით; ბ) გარიგების დონეზე (გარიგების პარტნიორისა და აუდიტორის შემთხვევაში) – შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით.

აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრში არსებული ინფორმაციის თანახმად, ფირმაში გარიგების პარტნიორს წარმოადგენს თამილა ჩაგელიშვილი (SARAS-A-913906).

სამსახურმა შეამოწმა ფირმის გარიგების პარტნიორის მიერ განხორციელებული ორი გარიგება, კერძოდ: [REDACTED] წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გარიგება და [REDACTED] წლის კონსოლიდირებული

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გარიგება.

მონიტორინგის წესის შესაბამისად, მონიტორინგის პროცესში მიღებული ინფორმაციის და განმარტებების ანალიზის საფუძველზე, მონიტორინგის სამუშაო ჯგუფი ამზადებს და აუდიტორულ ფირმას წარუდგენს მონიტორინგის წინასწარ შედეგებს.

მონიტორინგის სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადდა წინასწარი შედეგების ამსახველი ანგარიში, რომელშიც წარმოდგენილია მონიტორინგის სამუშაო ჯგუფის მიერ მონიტორინგის მსვლელობის შედეგად გამოვლენილი ფაქტები და წინასწარი დასკვნითი შეფასება. ასევე, გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები.

სამსახურის 2024 წლის 08 ნოემბრის N16/83294 და N16/83311 წერილებით ფირმას განსახილველად გაეგზავნა ფირმის ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის წინასწარი შედეგები და ეთხოვა მონიტორინგის წესის მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნათა დაცვით, წერილობითი პოზიციის წარმოდგენა მონიტორინგის წინასწარ შედეგებთან დაკავშირებით.

მონიტორინგის წესის მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აუდიტორული ფირმა არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში წარადგენს წერილობით პოზიციას მისთვის წარდგენილ წინასწარ შედეგებთან მიმართებაში, რომელშიც, არსებობის შემთხვევაში, ასახავს საკუთარ შენიშვნებსა და წინადადებებს.

2024 წლის 21 ნოემბერს ფირმის მიერ სამსახურში წარმოდგენილია წერილობითი პოზიცია მონიტორინგის წინასწარ შედეგებთან დაკავშირებით (სამსახურში რეგისტრაციის N193390/16, 21.11.2024). ფირმის პოზიციის ანალიზისა და ფირმასთან გამართული შეხვედრის შემდეგ, მონიტორინგის სამუშაო ჯგუფის მიერ, ფირმის მონიტორინგის შედეგებში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები, კერძოდ, დაკორექტირდა „შემოსავლის“ მუხლზე გამოვლენილი ფაქტი და საბოლოო შედეგების ამსახველი ანგარიშიდან ამოღებულ იქნა „სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების მუხლისა“ და „ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების მუხლის“ გამოვლენილი ფაქტი.

მონიტორინგის წესის მე-20 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, მონიტორინგის საბოლოო შედეგების ამსახველ ანგარიშში შეტანილი უნდა იქნეს წინასწარი ანგარიშის შემდგომ განხორციელებული ყველა ცვლილება. წინასწარი შედეგების განხილვის ეტაპის დასრულების შემთხვევაში, სამსახური იღებს გადაწყვეტილებას საბოლოო შედეგების ამსახველი, მონიტორინგის ანგარიშის მომზადების თაობაზე.

ფირმის მიერ წინასწარ შედეგებთან დაკავშირებით პოზიციების შეჯერებით დასრულდა ფირმის წინასწარი შედეგების განხილვის ეტაპი და მომზადდა მონიტორინგის საბოლოო შედეგების ამსახველი ანგარიში (შემდგომში - მონიტორინგის საბოლოო შედეგები), რომელიც სამსახურის აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტის მონიტორინგისა და მოკვლევის სამმართველოს ხელმძღვანელის (აუდიტის ზედამხედველობის ინსპექტორი) 2024 წლის 25 ნოემბრის N109911-16 მოხსენებითი ბარათით წარედგინა აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტის ხელმძღვანელს. აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის საბოლოო შედეგებში ასახულ, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან ფირმის მიერ განხორციელებული გარიგებების შესაბამისობის შესწავლისას გამოვლენილ ფაქტებს აქვს სისტემური ხასიათი და ზოგიერთი მათგანი მნიშვნელოვნად არსებითია. ამასთან, მონიტორინგის საბოლოო შედეგებში, გამოვლენილი ფაქტების მითითებით, წარმოდგენილია ის ძირითადი მიმართულებები, სადაც ფირმის პოლიტიკა და პროცედურები საჭიროებს არსებითად გაუმჯობესებას.

მონიტორინგის წესის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა. ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სავალდებულო აუდიტის (გარდა სდპ-ისა) უფლებამოსილების მქონე სავალდებულო აუდიტორი/აუდიტორული ფირმა – კონკრეტულ გარიგებასთან მიმართებით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით აღმოჩნდება არსებითი არასისტემური (იზოლირებული) ან/და სისტემური

ხარვეზები; ან/და მცირერიცხოვანი მნიშვნელოვნად არსებითი სისტემური ან/და არასისტემური (იზოლირებული) ხარვეზები; ან/და ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტებთან (ISQM) შესაბამისობის კუთხით აღმოჩნდება უმნიშვნელო ან/და მნიშვნელოვანი და მცირერიცხოვანი შენიშვნები. აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას/გარიგების პარტნიორს არ აქვს დარღვეული პროფესიული ეთიკის კოდექსი (IESBA Code).

მონიტორინგის წესის 22-ე მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, თუ აუდიტორული ფირმის მიერ შესრულებული გარიგება ამ წესის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ხარისხის (აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით გარიგება იქნება შენიშვნების გარეშე ან აღმოჩნდება ნაკლებად არსებითი ან/და მცირერიცხოვანი არსებითი ხარვეზები) არ იქნება შესაბამისი, სამსახური უზრუნველყოფს გარიგების პარტნიორისა და აუდიტორული ფირმის მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრებას და გარიგების პარტნიორისათვის სდპ-ის/სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლებამოსილების შეზღუდვას. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აუდიტორული ფირმის ხარისხის მართვის სისტემის ნაკლოვანების გამოვლენისას, სამსახური ასევე უზრუნველყოფს აუდიტორული ფირმისათვის სდპ ის/სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლებამოსილების შეზღუდვას. კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, პირის ან აუდიტორის/აუდიტორული ფირმის/გარიგების პარტნიორის მიერ ამ კანონის, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და მათ საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მოთხოვნების (გარდა ამ მუხლის მე-2-მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა) დარღვევა გამოიწვევს პირის ან აუდიტორის/აუდიტორული ფირმის წერილობით გაფრთხილებას ან მისთვის 5 000 ლარამდე ოდენობის ფულადი ჯარიმის დაკისრებას, ხოლო მონიტორინგის წესის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სამსახური, საჭიროების შემთხვევაში, მონიტორინგის შედეგების საფუძველზე ვალდებულია ერთდროულად ან/და ცალ-ცალკე, თანამიმდევრულად, ხოლო დარღვევისა და შესაძლო რისკის სერიოზულობიდან გამომდინარე, – არათანამიმდევრულად, გამოიყენოს შემდეგი სანქციები: ა) წერილობითი გაფრთხილება; ბ) საჯარო გაფრთხილება (რეესტრში ასახვით); გ) ფულადი ჯარიმა.

შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებთან (ასს, ხმს 1 და ხმს 2) ფირმის/გარიგების პარტნიორის საქმიანობის შესაბამისობის შესწავლისას, მონიტორინგის საბოლოო შედეგებში წარმოდგენილი, გამოვლენილი ფაქტების გათვალისწინებით დასტურდება, რომ ფირმაში აუდიტორული საქმიანობა სათანადოდ კომპეტენტურად არ არის განხორციელებული, რის გამოც მონიტორინგის სამუშაო ჯგუფმა, მონიტორინგის პროცესში შერჩეული აუდიტის გარიგებების და ფირმის პოლიტიკისა და პროცედურების მონიტორინგიდან გამომდინარე (მონიტორინგის სამუშაო ჯგუფის მიერ ფირმის პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისობა განხილული იქნა ხმს 1-თან და ხმს 2-თან, ხოლო ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტთან - ხმს 1-ის და ხმს 2- ის ამოქმედებამდე (2022 წლის 15 დეკემბრამდე) ფირმის პოლიტიკასა და პროცედურებთან მიმართებით), იმის გათვალისწინებით, რომ გამოვლენილ დარღვევებს აქვს სისტემური ხასიათი და ზოგიერთი მათგანი მნიშვნელოვნად არსებითია, მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ: ფირმა (SARAS-F-344253) განისაზღვროს მონიტორინგის წესის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა. ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სავალდებულო აუდიტის (გარდა სდპ-ისა) უფლებამოსილების მქონე აუდიტორულ ფირმად; ფირმას (SARAS-F-344253) მიენიჭოს სავალდებულო აუდიტს დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის (გარდა სდპ-ისა) ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელების უფლებამოსილება.

ფირმის გარიგების პარტნიორს - თამილა ჩაგელიშვილს (SARAS-A-913906) მიენიჭოს სავალდებულო აუდიტს დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის (გარდა სდპ-ისა) ფინანსური

ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელების უფლებამოსილება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის წესის 21-ე მუხლის 3<sup>o</sup> პუნქტის თანახმად, აუდიტორისთვის/გარიგების პარტნიორისათვის ბოლო მონიტორინგის შედეგად მინიჭებული უფლებამოსილება (გარდა სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების უფლებამოსილება) ან/და შეზღუდვები ვრცელდება, როგორც ნებისმიერ აუდიტორულ ფირმაში საქმიანობისას (ფირმისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში), ისე საქმიანობის ინდივიდუალურად განხორციელებისას (მათ შორის, რეესტრში აუდიტორის/გარიგების პარტნიორის ხელახალი რეგისტრაციისას), აუდიტორის/გარიგების პარტნიორის მომდევნო მონიტორინგის შედეგების გამოვლენამდე.

ამასთან, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მონიტორინგის შედეგების საფუძველზე, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევა, რომ ფირმის და ფირმის გარიგების პარტნიორის - თამილა ჩაგელიშვილის მიმართ გამოყენებულ იქნეს სანქცია - წერილობითი გაფრთხილება, ხოლო ფირმამ არსებითად გააუმჯობესოს, საბოლოო შედეგებში წარმოდგენილი, გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებებით განსაზღვრული სტანდარტების მოთხოვნების შესრულება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის, ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტების (ხმს 1 და ხმს 2), აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს), მონიტორინგის წესის მე-20 მუხლის მე-3 და მე-9 პუნქტების, 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ა.ბ“ ქვეპუნქტის, 3<sup>o</sup> პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და მე-12 პუნქტების და სამსახურის აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტის მონიტორინგისა და მოკვლევის სამმართველოს ხელმძღვანელის (აუდიტის ზედამხედველობის ინსპექტორი) 2024 წლის 25 ნოემბრის N109911-16 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დასრულდეს ფირმის - შპს „ეიჯი ინთერნეიშენალ კონსალტინგის“ (ს/ნ 205228207, სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-344253) ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგი;
2. ფირმა - შპს „ეიჯი ინთერნეიშენალ კონსალტინგი“ განისაზღვროს სავალდებულო აუდიტის (გარდა სდპ-ისა) უფლებამოსილების მქონე აუდიტორულ ფირმად;
3. ფირმას - შპს „ეიჯი ინთერნეიშენალ კონსალტინგის“ მიენიჭოს სავალდებულო აუდიტს დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის (გარდა სდპ-ისა) ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელების უფლებამოსილება;
4. ფირმის - შპს „ეიჯი ინთერნეიშენალ კონსალტინგის“ გარიგების პარტნიორს - თამილა ჩაგელიშვილს (SARAS-A-913906) მიენიჭოს სავალდებულო აუდიტს დაქვემდებარებული სუბიექტებისთვის (გარდა სდპ-ისა) ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელების უფლებამოსილება;
5. ამ ბრძანების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება/შეზღუდვა გაგრძელდეს, როგორც ნებისმიერ აუდიტორულ ფირმაში საქმიანობისას (ფირმისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში), ისე საქმიანობის ინდივიდუალურად განხორციელებისას (მათ შორის, რეესტრში აუდიტორის/გარიგების პარტნიორის ხელახალი რეგისტრაციისას), აუდიტორის/გარიგების პარტნიორის მომდევნო მონიტორინგის შედეგების გამოვლენამდე;
6. ფირმას - შპს „ეიჯი ინთერნეიშენალ კონსალტინგის“ და ფირმის - შპს „ეიჯი ინთერნეიშენალ კონსალტინგის“ გარიგების პარტნიორს - თამილა ჩაგელიშვილს (SARAS-A-913906) მიეცეთ

წერილობითი გაფრთხილება;

7. ფირმამ - შპს „ეიჯი ინტერნეიშენალ კონსალტინგი“ აუდიტორული მომსახურების განხორციელებისას უზრუნველყოს ხმსს1-ის: მე-13 პუნქტის და ასს-ების: 200-ის მე-17 პუნქტის, 330-ის 24-ე და 26-ე პუნქტების, 500-ის მე-4 პუნქტის, 700-ის (გადასინჯული) მე-11 („ა“) პუნქტის მოთხოვნების შესრულების არსებითად გაუმჯობესება;
8. ბრძანება და მონიტორინგის საბოლოო შედეგები გაეგზავნოს ფირმას - შპს „ეიჯი ინტერნეიშენალ კონსალტინგის“ და ფირმის გარიგების პარტნიორს - თამილა ჩაგელიშვილს (SARAS-A-913906);
9. ბრძანება ძალაში შესვლის შემდეგ დაუყოვნებლივ, არანაკლებ 5 წლის ვადით გამოქვეყნდეს სამსახურის ვებგვერდზე;
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

თორნიკე ძაგნიძე



პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტი

<https://edoc.mof.ge/public/#/732-16-4-202411251747>

